ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შპს ფულფარმი
ს/კ 411322162

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიში
- მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიში
- კაპიტალის ცვლილებების ანგარიში
- ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები:

- ორგანიზაცია
- ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

შპს "ფულ-ფარმი"
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

ფინანსური მდგომარეობა	**31/12/2024**	**31/12/2023**	**31/12/2022**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	**7,817.00**	**34,919.00**	**254364**
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**225,308.00**	**139,012.00**	**157,422.00**
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	**0.00**	**0.00**	**0.00**
მარაგები	**95,975.00**	**185,942.00**	**216,511.00**
სხვა არამატერიალური აქტივები	**0.00**	**0.00**	**0.00**
ძირითადი საშუალებები	**17,523.00**	**13,966.00**	**17,458.00**
სხვა გრძელვადიანი აქტივები	**0.00**	**0.00**	**0.00**
სულ აქტივები	**346,623.00**	**373,839.00**	**645,755.00**
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	**0.00**	**0.00**	**0.00**
სავაჭრო ვალდებულებები	**239,767.00**	**506,581.00**	**500,297.00**
ანარიცხები	**0.00**	**0.00**	**0.00**
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	**0.00**	**0.00**	**0.00**
საგადასახადო ვალდებულებები	**0.00**	**0.00**	**4,740.00**
სულ ვალდებულებები	**239,767.00**	**506,581.00**	**505,037.00**
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	**215,446.00**	**100,721.00**	**52,596.00**
საემისიო შემოსავალი	**0.00**	**0.00**	**0.00**
გამოსყიდული საკუთარი აქციები	**0.00**	**0.00**	**0.00**
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	**-108,590.00**	**-233,463.00**	**88,122.00**
გადაფასების რეზერვი	**0.00**	**0.00**	**0.00**
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	**0.00**	**0.00**	**0.00**
სულ საკუთარი კაპიტალი	**106,856.00**	**-132,742.00**	**140,718.00**
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	**346,623.00**	**373,839.00**	**645,755.00**

დირექტორი: გიორგი თევდორაძე

შპს "ფულ-ფარმი"
მოგება ან/და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
ვალუტა: ლარი

საქმიანობის შედეგები	**31/12/2024**	**31/12/2023**
ნეტო ამონაგები	**1,729,409.00**	**3,652,618.00**
საქონლის გაყიდვიდან	**1,705,680.00**	**3,591,985.00**
მომსახურების გაწევიდან	**23,729.00**	**60,633.00**
გაყიდვების თვითღირებულება	**-1,336,602.00**	**-3,025,874.00**
საერთო მოგება	**392,807.00**	**626,744.00**
სხვა საოპერაციო შემოსავალი	**0.00**	**0.00**
დასაქმებულთა ანაზღაურება	**-88,512.00**	**-638,095.00**
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	**-3,492.00**	**-3,492.00**
იჯარის ხარჯი	**-8,143.00**	**-18,952.00**
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	**-156,075.00**	**-281,501.00**
სულ საოპერაციო ხარჯები	**-256,222.00**	**-942,040.00**
საოპერაციო მოგება	**136,585.00**	**-315,296.00**
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	**0.00**	**0.00**
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	**136,585.00**	**-315,296.00**
მოგების გადასახადის ხარჯი	**0.00**	**0.00**
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	**136,585.00**	**-315,296.00**
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	**0.00**	**0.00**
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	**-11,712.00**	**-6,289.00**
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	**-11,712.00**	**-6,289.00**
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	**124,873.00**	**-321,585.00**

დირექტორი: გიორგი თევდორაძე

შპს "ფულ-ფარმი"
ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2024	31/12/2023
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	**-130,115.00**	**-261,281.00**
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	**0.00**	**0.00**
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	**114,725.00**	**48,125.00**
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	**-15,390.00**	**-213,156.00**
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	**-11,712.00**	**-6,289.00**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	**34,919.00**	**254,364.00**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	**7,817.00**	**34,919.00**

დირექტორი: გიორგი თევდორაძე

შპს "ფულ-ფარმი"
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
ვალუტა: ლარი

კაპიტალის მოძრაობის ანგარიში	**31/12/2024**	**31/12/2023**
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	**-132,742.00**	**140,718.00**
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	**0.00**	**0.00**
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	**124,873.00**	**-321,585.00**
კაპიტალის სხვა ცვლილებები	**114,725.00**	**48,125.00**
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	**106,856.00**	**-132,742.00**

დირექტორი: გიორგი თევდორაძე

განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაზე

ზოგადი ნაწილი

შპს ფულფარმი , როგორც სამეწარმეო სუბიექტი და კერძო სამართლის იურიდიული პირი, რეგისტრირებულია 2010 წლის 10 მაისიდან, მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო **კოდი:** 411322162. კომპანიაში 100 % წილის მფლობელია: 01008035297, **გიორგი თევდორაძე.** მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა ფარმაცევტული საქონლით საბითუმო ვაჭრობა საქართველოს ბაზარზე და ექსპორტი/რეექსპორტი უცხოეთში;

სააღრიცხვო პრინციპები დ მეთოდები

შპს ფულფარმი , აწარმოებს **სააღრიცხვო პოლიტიკას,** რომელიც ეფუძნება ბუღალტრული აღრიცხვის ძირითად (ორმხრიობის, ფულადი შეფასების, საწარმოს ავტონომიურობის, უწყვეტობის, თვითღირებულების, კონსერვატიზმის, მატერიალურობის, რეალიზაციის, შესაბამისობის) პრინციპებს. სააღრიცხვო დოკუმენტების წარმოება მიმდინარეობს სტანდარტებით დადგენილი წესების და მოთხოვნების შესაბამისად. შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება წარმოებს დარიცხვის მეთოდის საფუძველზე. კომპანია განეკუთვნება მე-3 ზომით კატეგორიას. უფლებამოსილია და იყენებს მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს, რომლის თანახმადაც ვალდებულია შეადგინოს ფინანსურ ანგარიშგება (ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ (ბალანსი); ანგარიშგება მოგების ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების შესახებ; ანგარიშგება საკუთარ კაპიტალში ცვლილების შესახებ; ანგარიშგება ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ და ფინანსურ ანგარიშგებაზე დაურთოს განმარტებით შენიშვნები და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა. ფინანსური ანგარიშგება გამიზნულია მომხმარებელთა ფართო წრისთვის.

შპს ფულფარმი ბუღალტრულ აღრიცხვას **ა**ხორციელებს კომპიუტერული პროგრამა „ორისი“-ის გამოყენებით.

მოქმედი სააღრიცხვო პოლიტიკიდან და საქმიანობის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, აღრიცხვაში გამოყენებული მეთოდის ცალკეული დეტალი (წესები, ხერხები, ფორმები, პრაქტიკა) საჭიროებს განმარტებას. კერძოდ:

1. ხელფასის გაცემა ხდება ელექტრონულად, სს ,,ქართუ ბანკის“ მეშვეობით;
2. ნაღდი ფულით ანგარიშსწორება არ წარმოებს;
3. ყოველწლიურად, წლის დასაწყისში, დირექტორის ბრძნებით ინიშნებიან ანგარიშვალდებული პირები, რომელთაც ეკისრებათ სრული მატერიალური პასუხისმგებლობა;

4. საწარმო აწარმოებს საანგარიშსწორებო ოპერაციებს უცხოურ ვალუტაში. უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარების დროს აისახება სამუშაო ვალუტაში, ოპერაციის შესრულების დღისათვის სამუშაო ვალუტასა და მოცემულ უცხოურ ვალუტას შორის არსებული სპოტ სავალუტო კურსის მიხედვით. ოპერაციის თარიღად მიიჩნევა თარიღი, როდესაც ეს ოპერაცია პირველად კლასიფიცირდება აღიარებისათვის, რაც ნიშნავს, რომ აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ამ ოპერაციასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკი გადაეცემა სუბიექტს.

5. მოთხოვნები და ვალდებულებები აღირიცხება ცალკეული ობიექტების მიხედვით და იმ თანხით, რომლის გადახდაც უწევს საწარმოს. ამავე ღირებულებით (ანუ პირვანდელი ღირებულებით) ასახულია ის ანგარიშგებაში;

6. შეძენილი სასაქონლო–მატერიალური ფასეულობები აქტივად აღიარდება შეძენის ფაქტიური თვითღირებულებით, რაც მოიცავს მის შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან, დადგმასთან დაკავშირებულ დანახარჯებს;

7. აქტივები შეფასებულია ისტორიული (პირვანდელი) ღირებულებით, რაც მოიცავს მის შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან, დადგმასთან, ექსპლოატაციაში შეყვანასთან დაკავშირებულ დანახარჯებს. აქტივების მოძრაობა, დღიდან მიღებისა, აისახება აქტივების მოძრაობის უწყისში;

8. ცვეთის დარიცხვა ხორციელდება დარიცხვის წრფივი მეთოდით. ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები ასახულია ნარჩენი ღირებულებით;

9. მიმწოდებლებთან საქონლის მიღება და საანგარიშსწორებო ურთიერთობა ხორციელდება ხელშეკრულებების საფუძველზე. შესაბამისი ინფორმაცია (რიგითი N, ხელშეკრ. N, მიმწოდებლის დასახელება, ვადები, შესყიდვის კოდები, თანხები) აისახება რეესტრში;

10. სახარჯი მასალა, საკანცელარიო და სამეურნეო საქონლის შეძენა ხდება მოთხოვნის საფუძველძე, შესყიდული საქონელი მიღება-ჩაბარების აქტით ბარდება ბრძანებით დანიშნულ პასუხისმგებელ პირს, რომელსაც მიჰყავს გაცემის აღრიცხვა და წარმოადგენს ყოველთვიურ ანგარიშს;

11. ყოველი წლის ბოლოს, ანგარიშგების შედგენამდე, ტარდება საბალანსო მუხლების ინვენტარიზაცია დირექტორის ბრძანების დაფუძველზე. ინვენტარიზაციის შედეგები რეგულირდება დადგენილი წესების თანახმად;

საგადასახადო ვალდებულებები

12. საგადასახადო ვალდებულებების ნაწილში შპს ფულფარმი მთლიანად ექვემდებარება საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნებს. ამასთან, აღრიცხვისა და

ანგარიშგების მიზნებისთვის გამოიყებება საგადასახადო კანონმდებლობის ის ნორმები, რომლებიც მოქმედებაშია შესაბამის საანგარიშგებო პერიოდებისთვის.

12.1. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 174-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად დღგ-ს ჩათვლა ხორციელდება მხოლოდ მაშინ, თუ კი საქონელი ან/და მომსახურება, რომელიც საჭიროა სარეალიზაციო საქონლის შექმნისათვის, ჩამოყალიბებისა და სარეალიზაციოდ მომზადებისათვის, გამოიყენება ან გამოყენებული იქნება დასაბეგრ ოპერაციებში. ხოლო იმ შემთხვევაში კი, საქონელი ან/და მომსახურება, რომელიც სარეალიზაციო საქონელს საბოლოო სახის ჩამოყალიბებაში მონაწილეობს, შეუძლებელია გაიმიჯნოს გამოიყენებოდა თუ არა დასაბეგრ ოპერაციებში, ვსარგებლობთ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის 174-ე მუხლის მეექვსე ნაწილით. კერძოდ, თუ საქონელი ან მომსახურება ერთდროულად გამოიყენება ჩათვლის უფლების მქონე და ჩათვლის უფლების გარეშე ოპერაციებში და მათი გამიჯვნა შეუძლებელია, მაშინ:

ა) დღგ-ის ჩასათვლელი თანხა გაიანგარიშება საანგარიშო პერიოდში საერთო ბრუნვის თანხაში ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებული დასაბეგრი ოპერაციების თანხის ხვედრითი წონის მიხედვით;

ბ) ამ ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით დღგ-ის ჩასათვლელი თანხის დაზუსტება ხდება მიმდინარე საგადასახადო წლის ბოლო საანგარიშო პერიოდის დეკლარაციაში წლის განმავლობაში საერთო ბრუნვის თანხაში ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებული დასაბეგრი ოპერაციების თანხის ხვედრითი წონის მიხედვით.

დირექტორი **გიორგი თევდორაძე**

21.07.2025